სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 26 აგვისტო 2005 №195 (2518) ფასი 50 თეთრი

პირველი ქართული დერბი ჩემპიონთა ლიგაში: კალაძე კობიაშვილის წინააღმდეგ!

გუშინ მონაკოში ევროპული საფეხბურთო სეზონის ერთ-ერთი ყველაზე სასეირო ნაწილი გაიმართა. ეს ის ნაწილია, რომლის დროსაც ფეხბურთს არ თამაშობენ, მაგრამ სუნთქვა მალიმალ ეკვრით, რადგან ეს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრაა — ევროპელი ქომაგისთვის ცნობილი ხდება, რა ელის წინ, თვეების განმავლობაში.

„გული მიგრძნობდა, რომ „ჩელსის" გადავეყრებოდით, ამიტომ არაფერი გამკვირვებია. წინა სეზონში „ენფილდზე" „ჩელსისთან" საგანგებო თამაში შედგა და მწამს, იგივე გამეორდება. მათ გამორჩეული მწვრთნელი ჰყავთ... ვფიქრობ, ორივე შეხვედრაში თანაბარი და დაძაბული ბრძოლა იქნება" — თქვა ჩემპიონთა თასის მფლობელის, „ლივერპულის" გმირმა და კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა.



დიახ, საოცრად ირონიულმა ფორტუნამ შეჯიბრების დასაწყისშივე იცუღლუტა და ერთმანეთს ორი ინგლისური გუნდი დააჯახა. მათ გარდა G ჯგუფში „ანდერლეხტი" და „რეალ ბეტისი" მოხვდნენ.

ბედმა, ალბათ, კიდევ ერთხელ E ჯგუფის განაწილებისას წაიცუღლუტა, როდესაც კახა კალაძის „მილანს" ბოლო გათამაშებიდან მისი გამომგდები, ჰოლანდიური „ეინდჰოვენი" შეახვედრა, თუ ბიჭი ხარ, შური იძიეო.

და, ცხადია, ამავე ჯგუფშია ქართველთათვის ნიშნეული ცუღლუტობაც — კალაძე კობიაშვილის წინააღმდეგ!

„რომ ვთქვა, ცხოვრებაში ამაზე სასურველ ჯგუფში არ მოვხვედრილვარო, არ ვიქნები მართალი. დანარჩენი სამი გუნდი თანაბარი ძალისაა და მათგან სირთულეებს ველი" თქვა მილანელთა თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ.

ის სამი გუნდი კი გახლავან უკვე ხსენებული „ეინდჰოვენი", ლევან კობიაშვილის „შალკე" და თურქული „ფენერბაჰჩე".

რვავე ჯგუფს თავ-თავიანთი კალენდრებით მეხუთე გვერდზე იხილავთ, აქ კი კიდევ ერთ ამბავზე შევაჩეროთ ყურადღება: უეფამ დაასახელა ჩემპიონთა ლიგის გასული სეზონის საუკეთესონი ამპლუათა მიხედვით და MVP ანუ ყველაზე სასარგებლო მოთამაშე. მთავარი პრიზი უკონკურენტო სტივენ ჯერარდს ერგო, დანარჩენ ნომინაციებში კი სამ-სამი კანდიდატიდან პირველები აღმოჩნდნენ ჩელსელები, მეკარე პეტრ ჩეხი და მცველი ჯონ ტერი, მილანელი ნახევარმცველი კაკა და თავდამსხმელი რონალდინიო „ბარსელონადან".



ბაჩუკი კეთილაძის ფოტო

ზურაბ ხიზანიშვილი შოთა არველაძის გზას დასდგომია

ალკმაარი რეინჯერსს: ხიზანიშვილი ძვირია და გვათხოვეთ

ზურაბ ხიზანიშვილის „გლაზგო რეინჯერსში" უთამაშებლობა გრძელდება — გუშინწინ ზურა ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის სამატჩო განაცხადში იყო „ანართოსისთან", თუმცა არ უთამაშია.

„შალკე" და „პორტსმუთი" — ამ გუნდებში გადასვლასთან ხიზანიშვილი ახლოს კი იყო, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა და ახლა ჰოლანდიური „ალკმაარის" კარიანტი გამოჩნდა.

ალკმაარელმა შოთა არველაძემ გუნდის სახელოვან მწვრთნელ ლუის ვან გაალს რამდენიმე კვირის წინ ჩააწვეთა ხიზანიშვილზე, ვან გაალიც დაინტერესდა ქართველი მცველით და საქმეც დაიძრა.

უტყუარ ინფორმაციას მოგახსენებთ: „რეინჯერსმა" „ალკმაარს" შეუთვალა, ხიზანიშვილი ექვსი თვით იჯარით წაიყვანეთ და მერე გადაწყვიტეთ, მისი შეძენა გსურთ თუ არაო. „ალკმაარს" კი ერთი წლით სურს, გლაზგოელებისგან ხიზანიშვილი ინათხოვროს.

ერთი სიტყვით, ხიზანიშვილის შეძენა „ალკმაარს" ეძვირა, ხოლო „რეინჯერსი" ჯერჯერობით ზურას მხოლოდ ექვსი თვით განათხოვრებაზეა ყაბულს.

ცნობისთვის: როცა ხიზანიშვილი „შალკეში" ეშურებოდა გადასვლას, BBC იუწყებოდა, „რეინჯერსი" ქართველს დაახლოებით ნახევარ მილიონ გირვანქას აფასებსო.

დავით თავართქილაძე

უეფას თასი 2005-2006

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

დომჟალე (სლოვენია) 1:1 აშდოდი (ისრაელი) (2:2)
ტეპლიცე (ჩეხეთი) 2:1 მტზ რიპო (ბელარუსი) (2:1)
ბ. ბისტრიცა (სლოვაკეთი) 0:0 *ვროცლინი* (პოლონეთი) (1:4)
მაკაბი (პ.ტ.ისრაელი) 6:0 ბასკინი (მაკედონია) (5:0)
მეტალურგი დ. (უკრაინა) 2:1 შოპრონი (უნგრეთი) (3:0)
დნიპრო (უკრაინა) 4:0 ბანანცი (სომხეთი) (4:2)
რიეკა (ხორვატია) 2:1 *ლიტეძსი* (ბულგარეთი) (0:1)
ზენიტი (რუსეთი) 1:1 პაშინგი (ავსტრია) (2:2)
პლოცკი (პოლონეთი) 3:2 *გრასჰოპერი* (შვეიცარია) (0:1)
ტრომსიო (ნორვეგია) 0:1 ესბიერგი (დანია) (1:0) 3:2 პენ.
ვიკინგი (ნორვეგია) 2:1 რილი (უელსი) (1:0)
მაკაბი (თ.ა. ისრაელი) 2:2 *აპოელი* (კვიპროსი) (0:1)
ტორსჰავნი (ფარერები) 2:2 *მიდტიულანდი* (დანია) (1:2)
ვარდარი (მაკედონია) 1:1 *რაპიდი* (რუმინეთი) (0:3)
ლევსკი (ბულგარეთი) 3:0 პუბლიკუმი (სლოვენია) (0:1)
ომონია (კვიპროსი) 2:1 *დინამო* (რუმინეთი) (1:3)
ლოკომოტივი (პლოვდივი, ბულგარეთი) 1:0 ოფკ (სერბეთი) (1:2)
ბატე (ბელარუსი) 0:2 *კრილია* (რუსეთი) (0:2)
ალიანსი (ფინეთი) 0:2 *ბრანი* (ნორვეგია) (0:0)
ბეშიქთაში (თურქეთი) 5:1 ვადუცი (ლიხტენშტაინი) (1:0)
ციურიხი (შვეიცარია) 4:1 ლეგია (პოლონეთი) (1:0)
ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 4:0 ინტერი (ხორვატია) (3:1)
გრაცერი (ავსტრია) 1:0 ნისტრუ (მოლდოვა) (2:0)
შიროკი ბრიეგი (ბოსნია) 4:2 ზეტა (სერბეთი) (1:0)
ავსტრია (ავსტრია) 2:2 ჟილინა (სლოვაკეთი) (2:1)
კორკი (ირლანდია) 0:0 იურგარდენი (შვედეთი) (1:1)
კარმარტენი (უელსი) 0:2 *კოპენჰაგენი* (დანია) (0:2)
გენკი (ბელგია) 3:0 მეტალურგი (ლატვია) (3:2)
ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 2:4 *ჰალმშტადი* (შვედეთი) (1:1)
დანდი იუნ. (შოტლანდია) 2:2 *მიუპა* (ფინეთი) (0:0)
კეფლავიკი (ისლანდია) 0:2 *მაინცი* (გერმანია) (0:2)

შვედეთი

ალსვენსკა. XIX ტური

ელფსბორგი 0:2 გიოტებორგი

სუპერეტა. XXI ტური

ატვიდაბერგი 2:0 გაის

გულდაწყვეტილი ბურდული: ნაკრებში როგორღა დავამტკიცო?!

რაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მწვრთნელი შეიცვალა, 24 წლის ლადო ბურდულს თითქოს შლაგბაუმი ჩამოუწიეს — გაიოზ დარსაძე ვლადიკავკაზის „ალანიას" მარჯვენაფლანგელს ნაკრებში არ ეძახის. ლადოსაც ამ საკითხზე სასაუბროდ შევეხმიანეთ ოსთა დედაქალაქში...

— ნაკრებში რომ აღარ გიძახებენ, ამას რას დააბრალებდი?

— ამას საკუთარ თავს ნამდვილად ვერ დავაბრალებ, „ალანიაში" ბოლო ექვსი თამაშიდან ყველა სასტარტოში ვითამაშე, მაგრამ ჩემთვის ნაკრებიდან არავის დაურეკავს და არ უკითხავს, როგორ ფორმაში ხარო.

— გამოდის, გული გწყდება და უსამართლობად მიიჩნევ, ნაკრებში რომ აღარ გიწვევენ...

— გული კი მწყდება, მაგრამ ვერაფერს ვიზამ, მე მხოლოდ მინდორზე შემიძლია ჩემი შესაძლებლობების დამტკიცება და ვფიქრობ, ამას ვახერხებ კიდეც — „ალანიაში" 30 ფეხბურთელია და მე თერთმეტ კაცში ვხვდები, მაგრამ თუ ნაკრების მწვრთნელმა ყურადღება არ მომაქცია, ნაკრებში როგორღა დავამტკიცო ჩემი შესაძლებლობები?!

— მიგაჩნია, რომ ახლა საუკეთესო ფორმაში ხარ?

— იმის მერე, რაც შარშან თბილისის „დინამოში" თანამეგობრობის თასი მოვიგეთ, ასეთ კარგ ფორმაში ჯერ არ ვყოფილვარ, თან უფრო მეტი გამოცდილებაც დამიგროვდა: „ალანიაში" ხან მარჯვენა ნახევარმცველად ვთამაშობ, ხან კი მარჯვენა მცველად.

დავით თავართქილაძე

ქინქლაძეს ყაზანში საროსტოვოდ ამზადებენ

მოაწერა თუ არა გიორგი ქინქლაძემ კონტრაქტს ხელი რუსული პრემიერლიგის ყაზანის „რუბინთან"? ამ კითხვით მივმართეთ გუშინ „რუბინის" პრესმდივან მაქსიმ ლოპუხოვს.

— უკვე ორი დღეა, ქინქლაძე ჩვენთან ვარჯიშობს. მან ალბათ უკვე მოაწერა კონტრაქტს ხელი „რუბინთან", თუმც ოფიციალურად ამ ინფორმაციას ვერ დაგიდასტურებთ. 27 აგვისტოს „როსტოვს" ვხვდებით და გვინდა, რომ ქინქლაძემ ითამაშოს, რისთვისაც განაცხადში წინა დღეს მაინც უნდა იყოს შეყვანილი. ქინქლაძის კონტრაქტთან დაკავშირებულ ზუსტ ინფორმაციას ხვალ გავავრცელებთ -- გვითხრა ლოპუხოვმა.

ლუკა თალაკვაძე

ჭელიძე შინიკს ელის, მარცვალაძე — ლოკომოტივს

ოთარ მარცვალაძე

გიორგი ჭელიძე იაროსლავლიდან მოსკოვში დაბრუნდა. გუშინდელი „სარბიელი" თუ წაიკითხეთ, გეცოდინებათ, გიორგის პრემიერლიგელ „შინიკში" განათხოვრებაზე რომ არის ლაპარაკი. ამ ამბავს წერტილი ჯერ არ დასმია — ქართველი თავდამსხმელი „ლოკომოტივში" დაბრუნდა და იქ დაელოდება კლუბების მოლაპარაკების შედეგს.

მანამდე კი, გუშინ „ლოკომოტივის" სარეზერვო გუნდმა ამხანაგური მატჩი გამართა მოსკოვის „კრასნაია პრესნიასთან" და 6:2 მოიგო. ეს შეხვედრა ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ „ვიტ ჯორჯიადან" წასულმა ოთარ მარცვალაძემ პირველად მოირგო რკინიგზელთა მაისურა. ჭელიძის დარად, ჯერ არც მარცვალაძის საკითხი გადაწყვეტილა — სავარაუდოდ, ოთარი კიდევ ერთ კვირას დაჰყოფს მოსკოვში და პასუხსაც მერე ეტყვიან.

კახა შალამბერიძე

ქართველებმა პალანგაზე თავი ჩაღუნეს

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა პალანგის ტურნირზე ჯგუფური ეტაპის მესამე მატჩიც წააგო. თუ პირველ ორ თამაშში ქართველები მინიმალურად აგებდნენ, ამჯერად რუსეთთან 0:3 დაიჩაგრნენ. პირველი ტაიმი 0:0 დასრულდა და ლევან მელიქას ბიჭებმა ბოლო ოც წუთში გაუშვეს სამივე ბურთი.

ამრიგად, დღეს ქართველები მე-7 ადგილისთვის მატჩში მეორე ჯგუფის ბოლოადგილოსან უკრაინას შეხვდებიან. ეგებ, ამათთან მაინც...

ილია ნანოგაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და თბილისის „დინამოს" ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, „დინამოს" დირექტორატის ყოფილი წევრი და ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ***რომან შოთაძე***, *„დინამოს" დირექტორატის ყოფილი წევრი და ეროვნული სტადიონის ყოფილი დირექტორი ნუკრი კაკილაშვილი — ეს სამეული და მათი მეგობრები ტაიმაუტს იღებენ, რათა კვლავ აქტიურად ისაქმიანონ საფეხბურთო ჩინოვნიკებად — აი, ეს გვაუწყა გუშინ რომან შოთაძემ ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე...*

ვისვენებთ, რათა დავბრუნდეთ

მერაბ ჟორდანიას მოსკოვის დინამო ეპატიჟება

— მერაბ ჟორდანია და ნუკრი კაკილაშვილი პატიმრობიდან გაათავისუფლეს და ისინი თავიანთ ოჯახებს დაუბრუნდნენ. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც მათ გათავისუფლებაში მონაწილეობა მიიღო. ჟორდანიას და კაკილაშვილის მეგობრებმა ბევრი გადავიტანეთ, განსაკუთრებით მათმა ოჯახებმა. მე კი დღეიდან, ასე ვთქვათ, შვებულებაში ვარ. ამ ცოტა ხნის წინ ნოდარ ახალკაცს შევხვდი და მან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა, მაგრამ გადავწყვიტე, ამ ეტაპზე ფედერაციიდან წავსულიყავი. თქვენი, ჟურნალისტების საშუალებით კი მადლობას მოვახსენებ ყველა იმას, ვისთანაც მიმუშავია — ფედერაცის თანამშრომლებს და ვეტერანებს, რომელთათვისაც მაქსიმუმს ვაკეთებდით. ჩვენი გუნდი ქართულ ფეხბურთში 1991-92 წლებში მოვიდა, მაშინ „დინამოში" ვმუშაობდით და უფროსმა ნოდარ ახალკაცმა თქვა კიდეც, რომ არა თქვენ, „დინამო" 1992 წლის მერე აღარ იარსებებდაო.

— 1998 წლის ფედერაციის ყრილობის მუშაობაში მთელი საფეხბურთო სამყარო მონაწილეობდა, რომელმაც პრეზიდენტად მერაბ ჟორდანია აირჩია და სწორედ იქიდან დაიწყო ქართული საფეხბურთო სამყაროს გაერთიანება. მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნები 2002 წელს უთანასწორო პირობებში ჩატარდა, მაგრამ ქართულმა საფეხბურთო სამყარომ ძალიან მძიმე ბრძოლაში მაინც შეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება. თქვენ დაანახეთ ხალხს, რომ ამ რეჟიმის დამარცხება შეიძლებოდა — უთხრა მიხეილ სააკაშვილმა ჟორდანიას მაშინ...

— გულშემატკივრებს ბოდიშს ვუხდით, რომ ხშირ შემთხვევაში მათ იმ სიხარულს ვერ ვანიჭებდით, რისი ღირსნიც არიან, თუმცა „დინამოში" და ფედერაციაში ყოფნისას ბევრი პოზიტიური რამ გავაკეთეთ, მაგალითად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უეფაში ერთ-ერთ მოწინავე ეროვნულ ფედერაციად ითვლებოდა, საქმიანი ურთიერთობა გავაბით ისეთ წარმატებულ კომპანიებთან, როგორებიც არიან „კოკა კოლა", „ყაზბეგი", „ფერო"...

— ამ ეტაპზე კი ჩვენი გუნდი პაუზას აკეთებს, მაგრამ უფეხბუროთოდ ცხოვრება არ შეგვიძლია და ახლა იმაზე დავფიქრდებით, თუ რა ფორმით შეგვიძლია ქართული ფეხბურთის დახმარება.

— „ჩვენს გუნდში" საკუთარ თავს და მერაბ ჟორდანიას გულისხმობთ?

— ჟორდანიას და კაკილაშვილსაც.

— მართალია, რომ ჟორდანია რუსეთში აპირებს საქმიანობას?

— სანამ რუსეთის ვარიანტი გამოჩნებოდა, ლონდონის „ჩელსიდან" წამოვიდა ინიციატივა, მაგრამ ჟორდანიამ გადაწყვიტა, რომ ის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის უფრო იყო საჭირო. ჟორდანიას აქვს შემოთავაზება მოსკოვის „დინამოდან", მაგრამ მერაბი ახლა დროს შვილებთან ატარებს, მერე კი ვნახოთ...

დავით თავართქილაძე

ფიფია გაფეროელდა

ზესტაფონმა თავდასხმას კითხვის ნიშანი მოუხსნა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი გოგი ფიფია „ზესტაფონში" გადავიდა. როგორც შევიტყვეთ, შესაძლოა, მან უახლოეს ტურში „ცხინვალთან" ითამაშოს კიდეც.

შეგახსენებთ, იმერლები ჯერ კიდევ ორი თვის წინ აპირებდნენ „თბილისის" ბომბარდირის შეძენას, თუმც იმ დროს ფიფიას თურქული „ქაისერისა" და „გაზიანთეფის" ვარიანტებიც ჰქონდა...

გოგის გადაყვანით „ზესტაფონს" თავდამსხმაში პრობლემა უნდა მოეხსნას. ჩემპიონატის გასულ სამ ტურში ფეროელებმა ოდენ ორი გოლი გაიტანეს და ისიც ნახევარმცველებმა — რევაზ კვერნაძემ და სერგეი ნუდნიმ.

ილია ნანობაშვილი

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის I | შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

ბლოხინმა კიევის დინამო გაზარდა

უკრაინის ნაკრების თავკაცმა ოლეგ ბლოხინმა 22-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, რომელსაც 3 სექტემბერს თბილისში საქართველოს ნაკრებთან სათამაშოდ ჩამოიყვანს, 7-ში კი კიევში თურქეთს დაუხვდება. ბლოხინის გუნდი ოდნავ სახეცვლილია იმ მხრივ, რომ თუ ადრე კიევის „დინამოდან" 3-4 ფეხბურთელს იწვევდა, ახლა უკვე 7 კაცი ჰყავს შეგულებული.



ოლეგ ბლოხინი

ნაკრებშია 31 წლის სერგეი რებროვი, რომელიც ერთ დროს ანდრეი შევჩენკოსთან ერთად მრისხანე თავდასხმის დუეტს ქმნიდა. „ლურჯ-ყვითლებში" პირველად გამოჩნდნენ დონეცკის „შახტარის" მცველი ვიაჩესლავ შევჩუკი და „კრივბასის" მეკარე მაქსიმ სტარცევი.

აქვე სრული სიაც ვნახოთ:

მეკარეები: *ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო), მაქსიმ სტარცევი (კრივბასი);*

მცველები: *ვლადისლავ ვაშჩუკი, ანდრეი ნესმაჩნი, სერგეი ფიოდოროვი (ყველა დინამო), ვლადიმირ ეზერსკი, ანდრეი რუსოლი, ალექსანდრ რადჩენკო (ყველა დნეპრი), ვიაჩესლავ შევჩუკი (შახტარი);*

ნახევარმცველები: *ოლეგ შელაევი, სერგეი ნაზარენკო, ალექსანდრ რიკუნი (ყველა დნეპრი), ოლეგ გუსევი, რუსლან როტანი (ორივე დინამო), ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტარი), სერგეი შიშჩენკო (მეტალურგი დონეცკი), ანდრეი გუსინი (კრილია, რუსეთი);*

თავდამსხმელები: *ანდრეი შევჩენკო (მილანი, იტალია), სერგეი რებროვი (დინამო), ანდრეი ვორონინი (ლევერკუზენი, გერმანია), ოლეგ ვენგლინსკი (აეკ, საბერძნეთი), ალექსეი ბელიკი (შახტარი).*

დანიის ნაკრები ქართველებთან შეხვედრამდე 3 სექტემბერს თურქეთს სტუმრობს და ცხრილში შექმნილი ვითარებით მხოლოდ მოგებაზე უნდა ითამაშოს. „დინამიტთა" მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა მოახლოებული ორი თამაშისთვის ასეთი 22-კაციანი სია გამოაცხადა:

მეკარეები: *იესპერ კრისტიანსენი (კოპენჰაგენი), ტომას სორენსენი (ასტონ ვილა, ინგლისი);*

მცველები: *ბრაიან პრისკე (პორტსმუთი, ინგლისი), დანიელ აგერი, პერ ნილსენი (ორივე ბრონდბიუ), მიქაელ გრავგაარდი (კოპენჰაგენი), ნიკლას იენსენი (ფულემი, ინგლისი), ტომას ჰელვეგი (გლადბახი, გერმანია);*

ნახევარმცველები: *კრისტიან პოულსენი (შალკე, გერმანია), კლაუს იენსენი (ფულემი), დანიელ იენსენი (ვერდერი, გერმანია), მარტინ იორგენსენი (ფიორენტინა, იტალია);*

თავდამსხმელები: *დენის რომედალი (ჩარლტონი, ინგლისი), იესპერ გრონკიაერი, იონ დალ ტომასონი (ორივე შტუტგარტი, გერმანია), მორტენ სკოუბო (ბრონდბიუ), კენეტ პერეზი (ალკმაარი, ჰოლანდია), სორენ ლარსენი (შალკე, გერმანია).*

---

7 სექტემბერს ყაზახეთი საბერძნეთს უმასპინძლებს და სერგეი ტიმოფეევმა უკვე დაასახელა სანაკრებო შემადგენლობა:

მეკარეები: *იური ნოვიკოვი (ირტიში), დავით ლორია (შახტარი), სერგეი სტეპანენკო (თარაზი);*

მცველები: *იგორ ავდეევი (შახტიორი), სამატ სმაკოვი (კაირატი), ალექსანდრ ფამილცევი (ტომი, რუსეთი), ალექსანდრ კუჩმა (რუხი, პოლონეთი), მაქსიმ ზუევი (ვოსტოკი), ფარხადბეკ ირისმეტოვი (კაირატი), რინატ დუბინსკი (ურალი, რუსეთი);*

ნახევარმცველები: *რუსლან ბალტიევი (შინიკი, რუსეთი), ანდრეი კარპოვიჩი (კაირატი), მაქსიმ ნიზოვცევი (ტობოლი), ნურბოლ ჟუმასკალიევი (ტობოლი), ანტონ ჩიჩულინი (ესენისი), მაკსატ ბაიჟანოვი (ირტიში), ანდრეი ტრავინი (ალმატი), სერგეი ლარინი (ალმატი), მაქსიმ აზოვსკი (ალმატი), ნიკიტა ხოხლოვი (ესენისი), ალექსეი შაკინი (ვოსტოკი);*

თავდამსხმელები: *ოლეგ ლიტვინენკო (ალმატი), დენის როდიონოვი (ატირაუ), ალექსანდრ კროხმალი (ორდაბასი), დანიარ კენჟეხანოვი (ვოსტოკი).*

ბერძენთა თავკაცმა ოტო რეჰაგელმა ტრადიციას არ უღალატა და ჯერ ლეგიონერთა სია გამოაქვეყნა, სრულ შემადგენლობას კი 29 აგვისტოს გამოაცხადებს:

პანაიოტის ფისასი (ჰარტსი, შოტლანდია), ზისის ვრიზასი (ფიორენტინა, იტალია), იერკას სეიტარიდისი (დინამო, რუსეთი), გეორგიოს კარაგუნისი (ინტერი, იტალია), ანგელოს ხარისტეასი (აიაქსი, ჰოლანდია), სტელიოს იანაკოპულოსი (ბოლტონი, ინგლისი).

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

კოლინას კისერი და ევერტონის ცოდვა
ინტერს ჭიშკრიდან უთვალთვალებენ

„რეინჯერსის" გამარჯვებაში დადო პრსომ გოლით მიიღო მონაწილეობა

მიროსლავ კლოზემ 3:0-ზე მიჰქარა, როცა სასტვენის შემდეგ ბურთს ფეხი ამოსცხო და კიმ მილტონ ნისლესნმაც ადრევე გაფრთხილებულ ფორვარდს მეორე ყვითელი ბარათი წითლად უქცია. „ვერდერი" „ბაზელს" უგებდა და გაუგებარია, რატომ გამოსტყუა კლოზემ მსაჯს გაძევება.

პირველი ტაიმის მიწურულს ნილსენმა სტუმართა კარში საეჭვო პენალტი დანიშნა, მაგრამ იოან მიკუმ ბურთი კარს აცილა. შესვენების შემდეგ „ბაზელს" ნაღდი საგოლე მომენტი ჰქონდა, რაინკესთან პირისპირ გასულმა დეჟენმა ვერ იხეირა, რასაც „ვერდერის" გოლი მოჰყვა. მცველის ფეხიდან ასხლეტილი ბურთი ივან კლასნიჩმა კარში შეაბრძანა. აქედან სამ წუთში ნილსენმა კიდევ ერთი პენალტი „დადო" მასპინძელთა სასარგებლოდ, რომელიც ტიმ ბოროვსკიმ გამოიყენა, ხოლო ივან კლასნიჩმა უმალ მესამე გოლი მიაყოლა — კუბერბიულერს საჯარიმოს კუთხიდან გაუტანა.

„ევერტონის" ცოდვა დაიდო პიერლუიჯი კოლინამ, რადგან დანკან ფერგიუსონს 81-ე წუთზე „ვილიარეალის" კარში გატანილი გოლი არ ჩაუთვალა. ფერგიუსონმა ნაკუთხურალი ბურთი შეაგდო ბარბოსას კარში, მაგრამ სანამ ბურთი მიფრინავდა, მსაჯმა საჯარიმოში ჯაჯგურისთვის სტუმარი მარკუს ბენტი დააჯარიმა. არადა, გამეორებაზე გამოჩნდა, რომ ბენტს წესი არ დაურღვევია, პირიქით, მას ექაჩებოდნენ მაისურაზე.

„ვილიარეალი" სორინის გოლით დაწინაურდა. მისი დარტყმული ბურთი გზად ვეირას შეეხო და გეზნაცვალი შევარდა ნაიჯელ მარტინის კარში, რომელიც საუკეთესო ევერტონელი იყო ამ მატჩში.

მიკაელ არტეტამ ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმოთი მეორე ტაიმში გაათანაბრა, ფერგიუსონის არჩათვლილი გოლის შემდეგ კი „ევერტონი" მეტოქის ნახევარზე დასახლდა, მაგრამ „ვილიარეალმა" კონტრშეტევაზე გამოიჭირა და ბოლო წუთზე დიეგო ფორლანმა მასპინძელთა გამარჯვებისა გაიტანა.

ევერტონელთა მწვრთნელი დევიდ მოიესი დაღონებული იყო: „მითხრეს, რომ მსაჯობა ისეთივე იქნება, როგორც ინგლისშია, მაგრამ ასე არ ყოფილა. ჩვენ ვერ მოვხვდით ჩემპიონთა ლიგაში, რაც ძალიან საწყენია, თუმც ახლა ბედს უეფას თასზე ვცდით".

„მანჩესტერ იუნაიტედმა" უნგრეთში მატჩის ბოლო ოცი წუთი ათი კაცით ითამაშა, რადგან ალექს ფერგიუსონს სამივე შეცვლა მოესწრო, ხოლო კირონ რიჩარდსონი 70-ე წუთზე დაშავდა და მოედნიდან გაიყვანეს. თვითონ რიჩარდსონმა მეთექვსმეტე წუთზე ტრავმირებული გარი ნევილი შეცვალა, რომელსაც დაახლოებით ერთთვიანი მკურნალობა დასჭირდება.

ფერგიუსონმა უეინ რუნი დაასვენა, გიგზმა კი სეზონში პირველი მატჩი ითამაშა. ანგარიში გაბრიელ ჰაინცემ თავური დარტყმით გახსნა. აღსანიშნავია, რომ ერთი კვირის წინ ჰაინცემ ამავე სტადიონზე არგენტინის ნაკრების მაისურით უნგრეთის ნაკრებსაც გაუტანა და ისიც თავით. რიჩარდსონმა კი მესამე მიაყოლა — დაახლოებით ოცი მეტრიდან ლეწა.

გლაზგოს „რეინჯერსმა" თემურ ქეცბაიას „ანართოსისს" მეორე მატჩშიც მოუგო, მაგრამ ტომას ბუფელის გოლამდე ქართველმა მოთამაშე-მწვრთნელმა მასპინძლები გვარიანად ანერვიულა. ჯერ 30 მეტრიდან გასროლით ძელი შეატოკა, მერე კი რონალდ ვატერეუსი ორჯერ გადაახტუნა ბურთის მოსაგერიებლად. ამის შემდეგ „ჩაფრებმა" იძალეს. ბუფელმა სტუმართა მეკარეს ბურთი თავზე გადაავლო და ანგარიში გახსნა, ხოლო მეორე ტაიმში დადო პრსომ საჯარიმოს ხაზიდან გაიტანა.

„ბრონდბიუ" ამსტერდამში ელმანდერის გოლით შესვენებამდე დაწინაურდა, მაგრამ აიაქსელები მეორე ტაიმში გამოცოცხლდნენ. რაიან ბაბელმა გაათანაბრა, ხოლო შეცვლაზე შესულმა უესლი სნაიდერმა რვა წუთში დუბლი მიითვალა.

„ინტერმა" დონეცკის „შახტარს" ცარიელი ტრიბუნების „ალყაში" უმასპინძლა. გეხსომებათ, რომ გაზაფხულზე, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ მატჩში „მილანთან", ინტერელმა ქომაგებმა სტადიონი გაბოლეს და თამაში ჩაშალეს. „შავ-ლურჯები" ამიტომაც დასაჯეს და „ინტერი" კიდევ სამ ევრომატჩს ცარიელი ტრიბუნების თანხლებით ითამაშებს.



რაიან ბაბელმა „ბრონდბიუსთან" შეხვედრაში ანგარიში გაათანაბრა

რეინჯერსი (შოტლანდია) 2:0 ანორთოსისი (კვიპროსი) (2:1)
1:0 ბუფელი (39), 2:0 პრსო (58)
რეინჯერსი: ვატერეუსი, რიკსენი, როდრიგესი, პიერ-ფანფანი, ბოლი, ბ. ფერგიუსონი, მიურეი (რაე 85), ლოვენკრანდსი, ბუფელი (მაკკორმაკი 71), ნოვო, პრსო (ტომპსონი 66)
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
ზურაბ ხიზანიშვილი სათადარიგო იყო
ანართოსისი: გეორგიალიდესი, პურსატიდესი, ლუკა, ხენიდისი, პაბერი, **ქეცბაია** (სამარასი 64), მარაგოსი (კონსტანტინუ 52), ნიკულაუ, კაცაბაკისი, წიტაიშვილი (სოლაკიდესი 72), ფრუსოსი
მწვრთნელი: **თემურ ქეცბაია**
გაფრთხილება: პიერ-ფანფანი, მაკკორმაკი, პურსატიდესი
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
48 500 მაყურებელი

სლავია (ჩეხეთი) 0:2 *ანდერლეხტი (ბელგია)* (1:2)
0:1 აკინი (72), 0:2 მ. მპენზა (84)

აიაქსი (ჰოლანდია) 3:1 ბრონდბიუ (დანია) (2:2)
0:1 ელმანდერი (44), 1:1 ბაბელი (50), 2:1, 3:1 სნეიდერი (80, 88)

დებრეცენი (უნგრეთი) 0:3 *მანჩესტერი(ინგლისი)* (0:3)
0:1, 0:2 ჰაინცე (20, 60), 0:3 რიჩარდსონი (65)

ბრიუგე (ბელგია) 2:2 ვოლერენგა (ნორვეგია) (0:1) 4:3 პენ.
1:0 ბალაბანი (79)
გაძევება: ვიოლერი (84, ვოლერენგა)

ვერდერი (გერმანია) 3:0 ბაზელი (შვეიცარია) (1:2)
1:0 კლასნიჩი (64), 2:0 ბოროვსკი (67), 3:0 კლასნიჩი (72)
მიკუმ ვერ გაიტანა პენალტი (43)
გაძევება: კლოზე (79)

ინტერი (იტალია) 1:1 შახტარი (უკრაინა) (2:0)
1:0 რეკობა (12), 1:1 ელანო (25)

ვილიარეალი (ესპანეთი) 2:1 ევერტონი (ინგლისი) (2:1)
1:0 სორინი (21), 1:1 არტეტა (70), 2:1 ფორლანი (90)

„სან სიროს" შესასვლელთან ორიათასამდე გულშემატკივარი შეიკრიბა და ფეხბურთს დიდ ეკრანზე უყურა. უქომაგო „ინტერი" ალვარო რეკობას გოლით დაწინაურდა, მაგრამ ელნომ პირველივე ტაიმში გაათანაბრა.

„ანდერლეხტმა" „სლავიას" მეორე მატჩშიც მოუგო. სერჰათ აკინმა და მბო მპენზამ თორმეტწუთიან მონაკვეთში თითო-თითო გაუტანეს პრაღელებს. აქვე ვიქვათ, რომ ეს იყო „სლავიას" მეხუთე ამაო ცდა ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად.

„ვილიარეალთან" შეხვედრაში „ბრიუგეს" გმირი ბოშკო ბალაბანი გახდა. ხორვატმა ფორვარდმა ძირითადი დროის დასრულებამდე თერთმეტი წუთით ადრე ორი მატჩის ჯამში გამათანაბრებელი გაიტანა. დამატებით დროში გუნდებმა „უგოლოდ" იბრძოლეს, პენალტების სერიაში კი გადამწყვეტი დარტყმა ბალაბანმა უზადოდ შეასრულა. „ბრიუგეს" მეკარე ტომისლავ ბუტინამ სერიაში ორი პენალტი მოიგერია, ხოლო მასპინძელმა გრეგორი დუფერმა ბურთი კარს აცილა.

გაჭა ხუციშვილი

კასანო მოჯიმ მოჩანგლა?

იტალიური მედიის ცნობით, ანტონიო კასანო „იუვენტუსის" ფეხბურთელი გახდება. ტურინელთა გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი რომში ჩასულა და იქაურ კოლეგა დანიელე პრადეს შეხვედრია. დირექტორებს კასანოს ტრანსფერზე უვაჭრიათ. შეთანხმდნენ, რომ „იუვენტსი" „რომას" ფულსაც გადაუხდის, ადრიან მუტუს და ჯორჯო ჩიელინის დაუთმობს, სანაცვლოდ კი ანტონიო კასანოს მიიღებს. ეს ამბავი სავარაუდოდ ოფიციალურად დღეს გაცხადდება.

ანტონიო კასანოს „რომასთან" კონტრაქტი მომავალ ზაფხულს უმთავრდება. კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი თქვა, რასაც რომაელთა მხრიდან მუქარა მოჰყვა, ახალ კონტრაქტზე თუ არ დათანხმდება, სათადარიგოთა სკამზე დავსვამთო. კასანო „რომამ" 2001 წელს „ბარიდან" 20 მილიონ გირვანქად შეიძინა, ახლა კი „იუვეს" დაახლოებით 13 მილიონ გირვანქას გადაუხდის.

„რომას" ბოლო ამხანაგურ მატჩში, არაბული „ალ აინის" წინააღმდეგ, ანტონიო კასანო შეცვლაზე შევიდა და ფანებმა უსტვინეს რადგან უკვე იცოდნენ, რომ ფეხბურთელმა „რომა" „იუვენტუსზე" გაცვალა.

გაჭა ხუციშვილი

ჩემპიონთა ლიგა 20054-2006. ჯგუფური ეტაპი

A ჯგუფი

ბაიერნი მიუნხენი, გერმანია
იუვენტუსი ტურინი, იტალია
ბრიუგე ბელგია
რაპიდი ვენა, ავსტრია

I ტური. 14.09.05
რაპიდი – ბაიერი
ბრიუგე – იუვენტუსი
II ტური. 27.09.05
იუვენტუსი – რაპიდი
ბაიერნი – ბრიუგე
III ტური. 18.10.05
ბაიერნი – იუვენტუსი
რაპიდი – ბრიუგე

IV ტური. 02.11.05
იუვენტუსი – ბაიერნი
ბრიუგე – რაპიდი
V ტური. 22.11.05
ბაიერნი – რაპიდი
იუვენტუსი – ბრიუგე
VI ტური. 07.12.05
რაპიდი – იუვენტუსი
ბრიუგე – ბაიერნი

B ჯგუფი

არსენალი ლონდონი, ინგლისი
აიაქსი ამსტერდამი, ჰოლანდია
სპარტა პრაღა, ჩეხეთი
თუნი შვეიცარია

I ტური. 14.09.05
სპარტა – აიაქსი
არსენალი – თუნი
II ტური. 27.09.05
თუნი – სპარტა
აიაქსი – არსენალი
III ტური. 18.10.05
აიაქსი – თუნი
სპარტა – არსენალი

IV ტური. 02.11.05
თუნი – აიაქსი
არსენალი – სპარტა
V ტური. 22.11.05
აიაქსი – სპარტა
თუნი – არსენალი
VI ტური. 07.12.05
სპარტა – თუნი
არსენალი – აიაქსი

C ჯგუფი

ბარსელონა ესპანეთი
პანათინაიკოსი ათენი საბერძნეთი
ვერდერი ბრემენი, გერმანია
უდინეზე უდინე, იტალია

I ტური. 14.09.05
უდინეზე – პანათინაიკოსი
ვერდერი – ბარსელონა
II ტური. 27.09.05
ბარსელონა - უდინეზე
პანათინაიკოსი – ვერდერი
III ტური. 18.10.05
პანათინაიკოსი – ბარსელონა
უდინეზე – ვერდერი

IV ტური. 02.11.05
ბარსელონა – პანათინაიკოსი
ვერდერი – უდინეზე
V ტური. 22.11.05
პანათინაიკოსი – უდინეზე
ბარსელონა – ვერდერი
VI ტური. 07.12.05
უდინეზე – ბარსელონა
ვერდერი – პანათინაიკოსი

D ჯგუფი

მანჩესტერი ინგლისი
ვილეარეალი ესპანეთი
ლილი საფრანგეთი
ბენფიკა ლისაბონი, პორტუგალია

I ტური. 14.09.05
ვილიარეალი – მანჩესტერი
ბენფიკა – ლილი
II ტური. 27.09.05
ლილი – ვილიარეალი
მანჩესტერი – ბენფიკა
III ტური. 18.10.05
მანჩესტერი – ლილი
ვილიარეალი – ბენფიკა

IV ტური. 02.11.05
ლილი – მანჩესტერი
ბენფიკა – ვილიარეალი
V ტური. 22.11.05
მანჩესტერი – ვილიარეალი
ლილი – ბენფიკა
VI ტური. 07.12.05
ვილიარეალი – ლილი
ბენფიკა – მანჩესტერი

E ჯგუფი

მილანი იტალია
პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია
შალკე გელზენკირხენი გერმანია
ფენერბაჰჩე სტამბოლი თურქეთი

I ტური. 13.09.05
მილანი – ფენერბაჰჩე
პსვ – შალკე
II ტური. 28.09.05
შალკე – მილანი
ფენერბაჰჩე – პსვ
III ტური. 19 10.05
მილანი – პსვ
ფენერბაჰჩე – შალკე

IV ტური. 01.11.05
პსვ – მილანი
შალკე – ფენერბაჰჩე
V ტური. 23.11.05
ფენერბაჰჩე – მილანი
შალკე – პსვ
VI ტური. 06.12.05
მილანი – შალკე
პსვ – ფენერბაჰჩე

F ჯგუფი

რეალი მადრიდი, ესპანეთი
ლიონი საფრანგეთი
ოლიმპიაკოსი პირეოსი საბერძნეთი
რუსენბორგი ტრონჰეიმი ნორვეგია

I ტური. 13.09.05
ლიონი – რეალი
ოლიმპიაკოსი – როსენბურგი
II ტური. 28.09.05
როსენბურგი – ლიონი
რეალი – ოლიმპიაკოსი
III ტური. 19.10.05
რეალი – როსენბურგი
ლიონი – ოლიმპიაკოსი

IV ტური. 01.11.05
როსენბურგი – რეალი
ოლიმპიაკოსი – ლიონი
V ტური. 23.11.05
რეალი – ლიონი
როსენბურგი – ოლიმპიაკოსი
VI ტური. 06.12.05
ლიონი – როსენბურგი
ოლიმპიაკოსი – რეალი

G ჯგუფი

ლივერპული ინგლისი
ჩელსი ლონდონი, ინგლისი
ანდერლეხტი ბრიუსელი ბელგია
ბეტისი სევილია, ესპანეთი

I ტური. 13.09.05
ჩელსი – ანდერლეხტი
ბეტისი – ლივერპული
II ტური. 28.09.05
ლივერპული – ჩელსი
ანდერლეხტი – ბეტისი
III ტური. 19.10.05
ანდერლეხტი – ლივერპული
ჩელსი – ბეტისი

IV ტური. 01.11.05
ლივერპული – ანდერლეხტი
ბეტისი – ჩელსი
V ტური. 23.11.05
ანდერლეხტი – ჩელსი
ლივერპული – ბეტისი
VI ტური. 06.12.05
ჩელსი – ლივერპული
ბეტისი – ანდერლეხტი

H ჯგუფი

ინტერი მილანი, იტალია
პორტუ პორტუგალია
რეინჯერსი გლაზგო, შოტლანდია
პეტრჟალკა ბრატისლავა სლოვაკეთი

I ტური. 13.09.05
პეტრჟალკა – ინტერი
რეინჯერსი – პორტუ
II ტური. 28.09.05
ინტერი – რეინჯერსი
პორტუ – პეტრჟალკა
III ტური. 19.10.05
პორტუ – ინტერი
რეინჯერსი – პეტრჟალკა

IV ტური. 01.11.05
ინტერი – პორტუ
პეტრჟალკა – რეინჯერსი
V ტური. 23.11.05
ინტერი – პეტრჟალკა
პორტუ – რეინჯერსი
VI ტური. 06.12.05
რეინჯერსი – ინტერი
პეტრჟალკა – პორტუ

ინგლისი

პრემიერლიგა. III ტური

ჩელსი 4:0 ვესტ ბრომვიჩი

1:0 ლამპარდი (23), 2:0 ჯო კოული (43), 3:0 დროგბა (68), 4:0 ლამპარდი (80)

ჩელსი: კუდიჩინი, ტერი, გ. ჯონსონი, გალასი, დელ ორნო, მაკელელე, ესიენი, ლამპარდი, ჯო კოული (რობენი 69), რაიტ-ფილიპსი (დაფი 79), დროგბა (კრესპო 71)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

ვესტ ბრომვიჩი: კირკლანდი, გერდსოუ, ალბრეხსტენი, კლემენტი, რობინსონი, გრინინგი (ელინგტონი 71), ჟიმეკა, ჩეპლოუ, ჯონსონი (ინამოტო 60), კამარა, კანუ

მწვრთნელი: ბრაიან რობსონი

გაფრთხილება: კამარა

მსაჯი: ჰელსი

41 201 მაყურებელი

არსენალი 4:1 ფულემი

0:1 კ. იენსენი (22), 1:1 სიგანი (32), 2:1, 3:1 ანრი (53, 83), 4:1 სიგანი (90)

არსენალი: ლემანი, სიგანი, ტურე, ლორენი, ეშლი კოული, გლები (კლიჩი 83), ჟილბერტო, ფაბრეგასი, რეიესი (ფლამინი 77), ბერხკამპი, ანრი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

ფულემი: უორნერი, ნაითი, ვოლცი, რემანი, ნ. იენსენი, კ. იენსენი, დიოპი, ბოა მორტე, მალბრანკი, მაკბრაიდი (ჯონი 64), რაძინსკი

მწვრთნელი: კრის კოულმენი

გაფრთხილება: რეიესი, ბერხკამპი, ლორენი, ფლამინი, კოული, ბოა მორტე, რემანი

მსაჯი: კლატენბურგი

37 867 მაყურებელი

ბლექბერნი 0:0 ტოტენჰემი

ბლექბერნი: ფრიდელი, ნეილი, ნილსენი, ტოდი (მოკენა 81), მატეო, თუგაი, ემერტონი, სევიჯი, რიდი, პედერსენი, კუკი (ჯონსონი 87)

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

ტოტენჰემი: რობინსონი, დოუსონი, სტალტერი, გარდნერი, ედმანი, ტაინიო, მენდეში (დეფო 81), ბრაუნი, ე. რიდი, მიდო (დავიდსი 53), რობი კინი

მწვრთნელი: მარტინ იოლი

გაფრთხილება: ნეილი, სევიჯი, დოუსონი, დავიდსი

გაძევება: ნეილი (76)

მსაჯი: გალაჰერი

22 375 მაყურებელი

ბოლტონი 2:0 ნიუკასლი

1:0 დიუფი (37), 2:0 იანაკოპულოსი (50)

ბოლტონი: იასკალაინენი, ბენ ჰაიმი, ჰანტი, ჯაიდი (დ. ფეიე 23), პედერსენი, ნოლანი, სპიდი, ოკოჩა, იანაკოპულოსი, დევისი (კამპო 70), დიუფი (ბორგეტი 87)

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

ნიუკასლი: გივენი, ბუმსონგი, ტეილორი, კარი, ბაბაიარო, ჯენსსი, ფეიე (კლარკი 60), პარკერი, ბოიერი (მილნერი 67), შირერი, ამეობი

მწვრთნელი: გრემ სუნესი

გაფრთხილება: ტეილორი

მსაჯი: სტაილსი

25 904 მაყურებელი

„ვესტ ბრომვიჩის“ კარში გატანილი პირველი გოლი ფრენკ ლამპარდმა (მარცხნიდან მეორე) თავის ერთი დღის ქალიშვილს ლუნა კოკო პატრისია ლამპარდს მიუძღვნა

ფრენკ ლამპარდის დიდი დღე

„ჩელსიმ“ მესამე მატჩიც მოიგო და გოლი კვლავ არ გაუშვა. ჟოზე მაურინიუმ „ვესტ ბრომვიჩთან“ პეტრ ჩეხი დაასვენა. მის ნაცვლად კარი კარლო კუდიჩინის ანდო. ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს ახალწვეულებმა მიკაელ ესიენმა და შონ რაიტ ფილიპსმა. ფრენკ ლამპარდმა დუბლი გაიფორმა, ჯო კოულმა და დიდიე დროგბამ კი თითო-თითო მიითვალეს. ლამპარდს 51 ჩელსელი გოლი მოუგრავდა, ხოლო დროგბამ სეზონის დაწყებიდან უკვე მეოთხე გაიტანა. ორი პრემიერლიგაში, ორიც — „ქომიუნითი შილდის“ მატჩში „არსენალთან“.

ბრომვიჩელთა მცველ ტომას გაარდსოეს შეცდომას პირველი გოლი მოჰყვა. დროგბა-ესიენის კომბინაცია ლამპარდის ზუსტი გასროლით დასრულდა. მეორე გოლი ჯო კოულმა რაიტ ფილიპსის პასით შეაგდო, ხოლო შესვენების შემდეგ დიდიე დროგბამ იხეირა. სტუმართა რბევა დამწყებმა ფრენკ ლამპარდმა დაამთავრა, საგოლე პასით კი შეცვლაზე შესულმა არიენ რობენმა გაუჩარხა.

ლონდონურ დერბიში „არსენალს“ მეექვსე წუთზევე შეეძლო დაწინაურება, მაგრამ ლორენმა პენალტი ვერ გაიტანა — კამერუნელის დარტყმული ბურთი „ფულემის“ მეკარე ტონი უორნერმა მოიგერია.

ამას შემდეგ სუტმრებმა ანგარიში გახსნეს. კლაუს იენსენმა იენს ლემანი უშანსოდ დატოვა. პირველი ტაიმის დასრულებამდე ცამეტი წუთით ადრე პასკალ რიგანმა ბერხკამპის ჩაწოდებულ ბურთს საგოლედ უთავაზა და გაათანაბრა. მეორე ნახევარში ტიერი ანრიმ ჯერ რეიესის, მერე კი გლების პასით იხეირა, ხოლო მეოთხე გოლი კვლავ სიგანის ანგარიშზეა. ასე რომ, „არსენალმა“ ოთხი „ფრანგული“ გაიტანა

„ნიუკასლმა“ მესამე ტურშიც ვერ მოახერხა გოლის გატანა და „ბოლტონთან“ დამარცხდა. სეზონის დაწყებამდე ინგლისში ვარაუდობდნენ, რომ პრემიერლიგური გუნდებიდან ყველაზე ადრე „ჯორდების“ მწვრთნელ გრემ სუნესს გააათავისუფლებდნენ. ასე თუ გააგრძელა, სუნესი სამუშაოს ნაღდად

ტიერი ანრიმ „ფულემს“ ორი გოლი გაუტანა

წიოკეს „ნიუკასლის“ ოცეა. ელ ჰაჯი დიუფი სტეფან კორზე მაღლა ახტა და ბურთი თავით ვიევენის კარში მრახავდა. ჟერარ ტაიმის დაწყებიდან ხუთ წუთში დიუფის პასით იანაკოპულოსმა ორიოდ მეტრიდან გაიტანა.

„ტოტენჰემს“ ამ უქმეებზე „ჩელსისთან“ ჯახი ელის. „მამლების“ მწვრთნელმა მარტინ იოლმა „ბლექბერთან“ გასვლით მატჩში დაეიდსი, კარიკი და დეფო თავიდანვე ამიტომ არ ათამაშა. „ტოტენჰემს“ შეტევაში ფხა მოაკლდა და მიჯრით ორი მატჩის მომგები გუნდი ბლექბერნში უგოლო ფრეს დასჯერდა. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებს შეხვედრის მიწურულს ლუკას ნეილი გაუძევეს.

ვაჟა ხუციშვილი

ჩელსი	3	3	0	0	6:0	9
ტოტენჰემი	3	2	1	0	4:0	7
სიტი	3	2	1	0	4:2	7
არსენალი	3	2	0	1	6:2	6
ჩარლტონი	2	2	0	0	4:1	6
მანჩესტერი	2	2	0	0	3:0	6
ვესტ ჰემი	2	1	1	0	3:1	4
ბოლტონი	3	1	1	1	4:3	4
მიდლსბრო	3	1	1	1	3:2	4
ლივერპული	2	1	1	0	1:0	4
ბლექბერნი	3	1	1	1	3:4	4
ვესტ ბრომვიჩი	3	1	1	1	2:5	4
ევერტონი	2	1	0	1	1:2	3
ასტონ ვილა	3	0	2	1	3:4	2
პორტსმუთი	3	0	1	2	2:5	1
ფულემი	3	0	1	2	2:6	1
ბირმინგემი	3	0	1	2	1:5	1
ნიუკასლი	3	0	1	2	0:4	1
უიგანი	2	0	0	2	0:2	0
სანდერლენდი	3	0	0	3	2:6	0



დავიდ ტრეზეგე
გამპერის თასით ხელში

გამპერის თასი ტურინში მიდის

გამპერის თასი

ბარსელონა 2:2 იუვენტუსი (2:4პ)

0:1 დელ პიერო (11ბ), 1:1 ინიესტა (67), 2:1 ვან ბრონკჰორსტი (70), 2:2 ტრეზეგე (79ბ)

ბარსელონა: ვალდესი (ხორკერა 46), გაბრი (ბელეტი 75), პუიოლი, ოლეგერი (ედმილსონი 46), ვან ბრონკჰორსტი, მარკესი, ვან ბომელი, ინიესტა (ეტოო 68), მესი (ეიული 90), რონალდინიო (დეკო 46), ლარსონი (მაქსი 86)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

იუვენტუსი: აბიატი, რ. კოვაჩი, ძებინა (ბალძარეტი 46), კანავარო, პესოტო (ზალაიეტა 87), კამორანეზი (ოლივერა 80), ვიეირა, კიელინი (ბლაზი 46), ჯანიკედა, დელ პიერო (მუტუ 46), იბრაჰიმოვიჩი (ტრეზეგე 46)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: ძებინა, დელ პიერო, ვან ბომელი, ჯანიკედა, ვიეირა, კანავარო

მსაჯი: ხულიან როდრიგეს სანტიაგო

92 000 მაყურებელი

ფრანკ რაიკარდის „ბარსელონა“ ტურინის „იუვენტუსთან“ მატჩისშემდგომ პენალტებში დამარცხდა და „ხუან გამპერის თასიც“ იტალიურ გრანდს ჩაბარა. „კამპ ნოუზე“ შეკრებილი მრავალათასიანი ინჩადის თვალსასეიროდ მეტოქეებს ცუდი ბურთაობა არ უჩვენებიათ, მაგრამ „იუვე“ გადამწყვეტ ეპიზოდებში უფრო მეტ სიზუსტეს იჩენდა და შესაბამისად „ბარსას“ დამაარსებლის სახელობის ჯილდოც ფაბიო კაპელოს შეგირდებს ერგოთ.

სტუმრებმა პირველი გოლი მე-11 წუთზე გაიტანეს — ოლეგერი თავის საჯარიმოში პატრიკ ვიეირას ეუხეშა და პენალტი ალესანდრო დელ პიერომ შეაგდო. მცირე ხნის შემდეგ „იუვენტუსის“ ვარსკვლავს კიდეე ჰქონდა ანგარიშის გაზრდის შანსი, ოღონდ ვიქტორ ვალდესთან პირისპირ გასულმა დელ პიერომ ბოლო მომენტში ვერ ივარგა. საერთოდ სტუმართაგან იბრაჰიმოვიჩი, უკვე ხსენებული დელ პიერო და ვიეირა გამოირჩეოდნენ, მასპინძელთაგან კი საუკეთესო იყო ლეო მესი, 18 წლის „ახალი მარადონა“, რომელიც ტრიბუნებმა მრავალჯეს დაუჯილდოვეს ოვაციებთ. სწორედ მესის შესანიშნავი გარღვევის შემდეგ შეაგდო ინიესტამ თავისი გოლი და 67-ე წუთზე ტაბლოზე 1:1 დაიწერა. მერე ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის ჯერიც დადგა — ჯიომ აბიატის კარი შორეული დარტყმით შელეწა.

აქ, „კამპ ნოუს“ ქომაგნი გამოფხიზლდნენ და გამარჯვების სიმღერაც წინასწარ დაგუგუნეს, მაგრამ „იუვემ“ თავისი არ დაიშალა და ტრეზეგემაც 79-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი დარტყმით 2:2 გახადა. მატჩი ასეც მორჩა და გრანდებმა ისევ პენალტების სერიას მიმართეს. მუტუს, ოლივერას, ვიერას და ტრეზეგეს ოთხეული, ვალდესისა და მთელი „კამპ ნოუს“ სავალალოდ ზუსტი გახლდათ მაშინ, როდესაც კატალონიელთაგან გოლების გატანა სამუელ ეტოომ და მარკესმა ვერ მოახერხეს...

ბოლოს კი აღვნიშნოთ, რომ ტურინელთა რიგებში ამ შეხვედრაში ორი ახალწველის, ზემოთ უკვე ხსენებული კრისტიან აბიატისა და ფედერიკო ბალძარეტის დებიუტი შედგა. ორივე მათგანმა საკმაოდ ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა.

ლადო ხომერიკი

ესპანეთი. პრიმერადივიზიონი 2005-2006

„რეალის“ თავკაცი ვანდერლეი ლუშემბურგო

პრიმერადივიზიონის ახალი სეზონი წესით წინაზე უკეთესი, საინტერესო და დაძაბული უნდა გამოდგეს — ასე თვლიან სპეციალისტები და გულშემატკივართა დიდი ნაწილი. თუ შარშან „ბარსელონა“ სხვებზე გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა და თავიდანვე გამოჩნდა, რომ კატალონიელების შემჩერებელი ძნელად თუ მოიძებნებოდა ვინმე, ახლა საქმე ცოტა სხვაგვარადაა. საგრძნობლად გაძლიერებული „რეალი“ აღარაფრის დათმობას არ აპირებს. ხოლო თუ ესპანეთში ფეხბურთის ამ ორ უდიდეს გრანდს იქით გვიხედავთ, კიდევ ბევრს საინტერესო კლუბს შევამჩნევთ. „ვილიარეალმა“, რომელიც ჩინებულ სტილში ბურთაობს თავისუფლად შეიძლება ჩემპიონობისთვის იბრძოლოს. ახალი მწვრთნელების მოსვლით წესით მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს „ვალენსიასა“ და „დეპორტივოში“. კვლავ სერიოზულ ძალას წარმოადგენენ სევილიური გუნდები — „სევილია“ და „ბეტისი“, ყველანაირად ცდილობს ძველი სახელის დაბრუნებას მადრიდის „ატლეტიკო“ და რა თქმა უნდა, არც ბილბაოს „ატლეტიკი“ უნდა დავივიწყოთ.

აღვნიშნოთ ისიც, რომ პრიმერადივიზიონში საგრძნობლად იმატა ლეგიონერთა რიცხვმა. ბევრს, მათ შორის ეროვნული ნაკრების თავკაცს ლუის არაგონესს ეს არ სიამოვნებს — ესპანელი ფეხბურთელები იჩაგრებიან, რაც ცუდ შედეგებს მოვიტანსო. ბევრს კი პირიქით, მოწონს აქაოდა და ეს ამტკიცებს, რომ საუკეთესო ლიგა სწორედ პრიმერაა. ასეა თუ ისე გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინ უამრავი საინტერესო რამ გველოდება...

პრიმერა რომელიც პრიმერაზე მეტია

ბარსელონა

რამდენიმე წლიანი ჩავარდნის შემდეგ, გასულ სეზონში კატალონიელებმა, როგორც იქნა შეძლეს თავისი თამაშის ჯოვნა და დამსახურებულადაც გახდნენ ჩემპიონები. აქედან გამომდინარე კლუბის უფროსობამ ბევრი ცვლილებების გაკეთება მიზანშეწონილად არ მიიჩნია და გუნდმა ამ ზაფხულს ოდენ ორი მოთამაშე — გამოცდილი ნახევარმცველი მარკო ვან ბომელი და ნიჭიერი გარემარბი სანტი ესკერო დაიმატა.

„ბარსა“ წლეულსაც პრმერადივიზიონის მთავარ ფავორიტად ითვლება და არცთუ უსაფუძვლოდ. გუნდი ბრწყინვალედაა დაკომპლექტებული. განსაკუთრებით შთამბეჭდავად ნახევარდაცვა და თავდასხმა გამოიყურება, მაგრამ აუგი არც დაცვაზე და მეკარეებზე ითქმის. მართალია ბევრი კატალონიელთა თავკაცს ფრანკ რაიკარდს ალმაცერად უყურებს, მაგრამ ასეთი მოთამაშეებით ცუდი მწვრთნელიც კი ბევრს მიაღწევდა. რაიკარდი კი ცუდი როდია...

რეალი

პროგნოზების გაკეთება ამ ეტაპზე ისევ ძალიან ძნელია. არცთუ წარმატებული მუშაობის შემდეგ ვანდერლეი ლუშემბურგოს „რეალიდან“ წასვლას უწინასწარმეტყველებდნენ. თუმცა ფაქტია, რომ ბრაზილიელი სპეციალისტი პოსტზე რჩება და გუნდს თანამემამულეებით ავსებს. თანაც ლუშემბურგოს განწყობა ძალიან ოპტიმისტურია, რაც კლუბის ქომაგთა დიდ ნაწილს აიმედებს კიდეც.

რობინიომ და ჟულიო ბაპტისტამ მადრიდელთა შეტევა წესით ძალიან უნდა გააძლიეროს. ნურც ორ ურუგვაელს დიეგოსა და პაბლო გარსიას დავივიწყებთ. „რეალის“ მთავარი პრობლემა ისევ სუსტი დაცვა იქნება. თუმცა „სამეფო კლუბის“ ამისდა მიუხედავად წურმატების მიღწევის გამოცდილება უკვე აქვს, მაგრამ ვნახოთ რა გამოვა ამჯერად.

უნდა აღვნიშნოთ ბოლო წლებში გუნდის ერთ-ერთი ლიდერის და ლუშემბურგოს მიერ ათვალწუნებული ლუიშ ფიგუს წასვლა. მის გზას კიდევ რამდენიმე გამორჩეული მოთამაშე დააღგა — ხავიერ პორტილიო, სანტიაგო სოლარი და ვალტერ სამუელი.

ვილიარეალი

წინა სეზონის მესამე ადგილი საუკეთესო შედეგია, რისთვისაც ამ გუნდს დაარსებიდან დღემდე მიუღწევია. საზოგადოდ, პატარა კლუბები დიდი წარმატების მერე საუკეთესო ფეხბურთელებს ყიდიან და ძალასაც კარგავენ-ხოლმე (გაიხსენეთ „ალავესი“), მაგრამ „ვილიარეალი“ სულ სხვაა...

„ლურჯ-ყვითლებმა“ საამსეზონოდ დაიმეტეს უგამოცდილესი იტალიელი ნახევარმცველი ალესიო ტაკინარდი, პოლონეთის ნაკრების წევრი იან კრომკაპი, ეკვადორელი ანტონიო ვალენსია და არგენტინელი მეკარე მარიანო ბარშოსა. და რაც მთავარია, შეინარჩუნეს რომან რიკელმე და ოქროსფეხა დიეგო ფორლანი. ასე რომ, უფრთხილდნენ, „ვილიარეალის“ რაგინდარა გუნდის გამწარება შეუძლია.

ბეტისი

გაძლიერდა სევილიური „ბეტისიც“. ამათ გავარდნილი „ლევანტეს“ გამთამაშებელი ალბერტ რიერა გადაიბირეს და ჩაროზად მალაგელი მიგელ ანხელი დაიმატეს. თუმცაღა მცოდნე ხალხი თვლის, შარშანდელი შედეგის — მეოთხე ადგილის — გასამეჯობესებლად ოდენ ამ ორი ფეხბურთელით გაძლიერება საკმარისი არ იქნებაო. ახლა ასეთია: „ბეტისს“ სულ ორი ფეხბურთელი ჰყავს ბევრი გოლის გატანა რომ შეუძლიათ — ბრაზილიელი რიკარდო ოლივეირა და ხაიაკინი. ჰოდა ამბობენ, ამათ ტრავმა რომ მიიღონ, „ბეტისს“ გოლის შიმშილობა დაეწყებაო. სიმართლეს ჰგავს — დიდი მიზნებზე დაგეშილი გუნდისთვის ორი კინკილა მეგოლე თანამედროვე ფეხბურთში ცოტაა.

სევილია

